

სარჩევი

2. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია.....	3
2.1. საბაზისო კვლევის ზოგადი დიზაინი და მეთოდოლოგია.....	3
2.2. კვლევის ადგილები.....	3
2.3. მონაცემების შეგროვება	4
2.3.1. მოსახლეობის შესწავლა და შერჩევის სტრატეგია	4
2.3.2. ჯგუფური დისკუსია.....	5
2.3.3. ძირითადი ინტერვიუ ინფორმანტთან.....	6
2.3.4. მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და ანალიზი	6
2.3.5. მკვლევართა გუნდი და კვლევის ორგანიზება	6
3. დისკუსია.....	7
3.1. ეკონომიკური განვითარება	7
3.2. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა.....	11
3.3. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი.....	14
3.4. განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა	16
3.5. ძირითადი სერვისები და პროგრამები.....	17
3.6. ადგილობრივი ხელისუფლება.....	18
4. საბაზისო მონაცემების შედეგები	18

1. საბაზისო კვლევის საფუძველი

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS-ის) შემუშავების პროცესში ჩატარდა საბაზისო კვლევა ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) მხარდასაჭერად. კვლევა შესრულდა ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის მიერ დაფინანსებული "სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში" პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის მიერ, "მერსი ქორფსის" (Mercy Corps), Elva საზოგადოების ჩართულობისა და დასავლეთ კორკის განვითარების (WCDP) პარტნიორობით. კვლევა მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის მეშვეობით ადგილობრივი პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფს LDS განვითარებისა და განხორციელების პროცესთან დაკავშირებული საქმიანობის სრულ შესაბამისობას ევროკავშირის LEADER მიდგომასთან, რომელიც ემყარება ადგილობრივ პარტნიორობის გზით, ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღებას ქვემოდან ზემოთ მიმართული მიდგომის საფუძველზე. საბაზისო კვლევა უზრუნველყოფს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის თვალთ დანახული ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა-შესწავლას; მათ მიერ ადგილობრივი საჭიროებების ხედვას, მათ პრიორიტეტებსა და მოლოდინებს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას LDS-ის კონცეპტუალიზაციის, სტრატეგიული პრიორიტეტული მიმართულების დაგეგმვისა და ადგილობრივ დონეზე ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

2. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

2.1. საბაზისო კვლევის ზოგადი დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მიერ 2017 წლის ივლისში. კვლევის კონცეფცია, სადისკუსიო თემები და კითხვები შემუშავდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თემატური ჩარჩოს საფუძველზე. კვლევის დიზაინი მომზადდა სპეციალურად LDS-ში მოცემული თემების მიხედვით. კვლევის მიზანია ამ სტრატეგიული დოკუმენტის გაძლიერება პირველადი ინფორმაციით.

კვლევის მეთოდოლოგია	
მეთოდი	თვისებრივი
ტექნიკა	ფოკუს ჯგუფის ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	11 ფოკუს ჯგუფი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 22 მუნიციპალურ ერთეულში. თითოეული ფოკუს ჯგუფი შედგება ადგილობრივი მოქალაქეებისგან, რომლებიც დაიყო 11 ერთეულად კომპეტენციისა და გამოცდილების მიხედვით.
შერჩევის ზომა	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 209 ადგილობრივი მოქალაქე
შერჩევის მეთოდი	არა-შემთხვევითი-მიზნობრივი შერჩევა
საკვლევი რეგიონი (გეოგრაფია)	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, საქართველო
ინტერვიუს ხანგრძლივობა	60-90 წუთი

2.2. კვლევის ადგილები

კვლევა ჩატარდა 11 ადგილზე, რომელმაც მოიცვა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია. უფრო კონკრეტულად, 22 ტერიტორიული ერთეული დაჯგუფდა 11 ლოკაციად გეოგრაფიული სიახლოვის პრინციპის მიხედვით:

შეხვედრების #	თემების დაჯგუფება		მოსახლეობა
1	კოჭიო	აზავრეთი	(სომხური)

2	ალასტანი	ხანდო	არაგვა	(სომხური)
3	ბარალეთი	კოთელია		(სომხური და ქართული)
4	გოგაშენი	ოკამი		(ქართული და სომხური)
5	კარწახი	ხავეთი		(სომხური)
6	სულდა	ვაჩიანი		(სომხური)
7	ზაკვი	ტურცხი		(სომხური)
8	კარტიკამი	ხოსპიო		(სომხური, ბერძნული და ქართული)
9	პტენა	ჩუნჩხა		(ქართული)
10	დილისკა	კუმურდო		(სომხური)
11	ახალქალაქი			(სომხური და ქართული)

ცხრილი 1: ინტერვიუებისა და თემების დაჯგუფების რაოდენობა

2.3. მონაცემების შეგროვება

2.3.1. მოსახლეობის შესწავლა და შერჩევის სტრატეგია

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობა შეადგენდა 22 მუნიციპალურ ერთეულს: აზავრეთი, ალასტანი, არაგვა, ბარალეთი, ვაჩიანი, გოგაშენი, კუმურდო, დილისკა, ზაკვი, კარცახი, კარტიკამი, კოთელია, კოჩიო, ოკამი, პტენა, სულდა, ტურცხი, ხავეთი, ხანდო, ხოსპიო, ჩუნჩხა, და ქ. ახალქალაქი. ეს ტერიტორიული ერთეულები მოიცავს 64 სოფელს და 1 ქალაქს.

შერჩევის სტრატეგია: ხარისხობრივი კვლევა განხორციელდა ფოკუს ჯგუფების ინტერვიუების ფორმით ზემოაღნიშნული 11 თემის და ჯგუფების ფარგლებში. ფოკუს ჯგუფების სამიზნე ჯგუფი შემდეგი მეზობელი ტერიტორიული ერთეულებიდან მოიცავდა ადგილობრივ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ საერთო პრობლემები. ფოკუს ჯგუფის საშუალო რაოდენობა მერყეობს 10-დან 15 ადამიანამდე. ფოკუს ჯგუფში შევიდნენ რესპონდენტები, რომლებიც წარმოადგენენ ან მუშაობენ შემდეგ სფეროებში:

სოფლის მეურნეობა: ფერმერები, კოოპერატივის წევრები და ა.შ.

ადგილობრივი ბიზნესი: მეწარმეები, დამამუშავებლები, მრეწველები, მომსახურების მიმწოდებლები

განათლება და კულტურა: მასწავლებლები, ლექტორები, ექსპერტები და ა.შ.

ჯანდაცვა და სოციალური საკითხები: ექიმები, ექთნები და ა.შ.

გარემოს დაცვა, ბიომრავალფეროვნება და კულტურული მემკვიდრეობა

ინფრასტრუქტურა, საინჟინრო საქმე და ენერგეტიკა

ადგილობრივი ხელისუფლება

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები

დაუცველი ჯგუფები, ხანდაზმულები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები

აქტიური ქალები, ეთნიკური უმცირესობები და ახალი თემები

სპორტი და ახალგაზრდული საქმიანობა

აქტივობებისა და კვალიფიკაციის სხვადასხვა სფეროში მონაწილეთა რაოდენობა განსხვავებულია თემების მიხედვით, თუმცა განსაკუთრებით შესამჩნევია სოფლის მეურნეობის სფეროში წარმომადგენელ რესპონდენტთა სიჭარბე, რადგან ამ სფეროშია ჩართული მოსახლეობის უმრავლესობა.

მონაწილეთა მთლიანი რაოდენობა:	209 ადამიანი
ინტერვიუების საქმიანობები/პროფესიისა და კვალიფიკაციის სფეროები	რაოდენობა
1. სოფლის მეურნეობა	173
2. სპორტი, თავისუფალი დრო და ახალგაზრდული საქმიანობა	57
3. ადგილობრივი ბიზნესი	37
4. განათლება და კულტურა	34
5. ინფრასტრუქტურა, საინჟინრო საქმე და ენერგეტიკა	28

6. აქტიური ქალები, ეთნიკური უმცირესობა და ახალი თემები	28
7. ადგილობრივი მმართველობა	28
8. ადგილობრივი არასამთავრობოები	24
9. გარემოს დაცვა, ბიომრავალფეროვნება და კულტურული მემკვიდრეობა	23
10. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო	21
11. მოწყვლადი ჯგუფები, ხანდაზმული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები	16
გენდერი	
მამრ:	166
მდედრ:	43
ასაკი	
< 26 წელი	49
> 26 წელი	160

ცხრილი2: ინტერვიუს მონაწილეები

ფოკუს ჯგუფის შემადგენლობა ითვალისწინებს ადგილობრივი ახალგაზრდობის ჩართულობას და გენდერული ბალანსის დაცვის პრინციპს. ვინაიდან რესპონდენტები საქმიანობდნენ სხვადასხვა სფეროში, გააჩნდათ რამდენიმე პროფესია და კვალიფიკაცია, საერთო კვალიფიკაციის ჯამური რიცხვი აჭარბებს მონაწილეთა საერთო რაოდენობას.

2.3.2. ჯგუფური დისკუსია

ჯგუფური დისკუსია ჩატარდა კითხვარის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისგან. იგი შედგებოდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემებისა და ქვეკუნქტებისგან და მოიცავდა შემდეგ თემებს:

თემა 1: სოციალურ-ეკონომიკური პროფილი

ქვე-თემები: დემოგრაფია; სოფლის ქალაქები და სოფლები; ჩამორჩენილობა-აუცილებელი საჭიროებების ნაკლებობა და არახელსაყრელი მდგომარეობა; ხანდაზმული ადამიანები, მარტოხელა მშობლიანი ოჯახი; ეთნიკურობა და ახალი თემები; ჯანმრთელობა/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; შრომის ბაზრის პროფილი/უმუშევრობა; მიწისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება; გარემოს დაცვა, ბიომრავალფეროვნება, კლიმატური ცვლილებები და ნახშირბადის გამონაბოლქვი; განახლებადი ენერჯია და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია; სურსათი, კეთილდღეობა და ნუტრიცია.

თემა 2: ეკონომიკური განვითარება

ქვე-თემები: სოფლის მეურნეობა (მცხოვრელობა - ხორცი და რძე, მეხაღებლობა - ხილი და ბოსტნეული, ხენა-თესვა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და აკვაკულტურა) საწარმოები; მრეწველობა და დამუშავება; მომსახურება: ტურიზმი და დასვენება; სოციალური საწარმოები; მომსახურება, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას; შემოქმედება, ხელოვნება და ხელოსნობა; ეკონომიკური აქტივობის პროფილი (ბაზრის ხელმისაწვდომობა, ლოგისტიკა და დისტრიბუცია; სპეციალიზებული ბიზნესმომსახურება და მომწოდებლები; სექტორული ქსელები და ასოციაციები; ტექნიკური მომსახურება და მარეგულირებელი შესაბამისობა).

თემა 3: განათლება, კულტურა, სპორტი და სოციალური ჩართულობა

ქვე-თემები: განათლება და კვალიფიკაცია/უნარ-ჩვევები; სამოქალაქო ჩართულობა, თანასწორობა და სოციალური ჩართულობა (ახალგაზრდობა/ქალი/გენდერი/მოწყვლადი ჯგუფები); სპორტული და თვისუფალი დროის ღონისძიებები; კულტურული მემკვიდრეობა/სოციალური და კულტურული გარემო (ობიექტები და საქმიანობა).

თემა 4: ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა

ქვე-თემები: სოფლის ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა (ტელევიზია და რადიო, ინტერნეტი, მობილური კავშირი).

თემა 5: ძირითადი სერვისები და პროგრამები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში

თემა 6: ადგილობრივი მთავრობა

2.3.3. ძირითადი ინტერვიუ ინფორმანტთან

სადისკუსიო თემები იყო არჩევითი. ფოკუს ჯგუფებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, შეერჩიათ თემები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებისთვის, განხილული პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის თვალსაზრისით. ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ რესპოდენტს ეთხოვა თავის წარდგენა და მათი კომპეტენციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების გაცნობა თემისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და საჭიროებებზე. შესავალი პროცესის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა ხელი შეუწყო ჯგუფში ისტორიული დისკუსიის დაწყებას თემების, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ, რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვანია, ღირებულია და დღემდე კარგად ახსოვთ. მომდევნო ეტაპზე ინტერვიუერი დაეხმარა ჯგუფს გაეშალათ დისკუსია თემების და ქვეთემების მიხედვით ჯგუფების ინტერესებისა და პრიორიტეტებიდან გამომდინარე. ჯგუფს განემარტათ თუ როგორი სტრუქტურის მიხედვით უნდა აეწყოთ დისკუსია:

დისკუსია: პრობლემები, საჭიროებები, უპირატესობები, ნაკლოვანებები, შესაძლებლობები, საფრთხეები.

მიზნები:

მოქმედებები: რა შეიძლება გაკეთდეს? სად? ვინ არის პირველადი სამიზნე ჯგუფები? ვინ იქნება პასუხისმგებელი კონკრეტული საქმიანობის განხორციელებაზე? როდის დაიწყება კონკრეტული საქმიანობის განხორციელება? თანამონაწილე ორგანიზაციები?

2.3.4. მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და ანალიზი

ინტერვიუერის მიერ ორგანიზებული ინტერვიუები ჩაიწერა ხმის ჩამწერზე, ხოლო თვალსაჩინოებისთვის ძირითადი საკითხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ფლიპ-ჩარტი საწერი დაფა. ინტერვიუს მონაწილეთა დასწრება დაფიქსირდა დამსწრეთა სიაში, რომელშიც აღინიშნა დამსწრეთა სრული სახელი, მისამართი, დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერა. შეგროვებული ინფორმაცია დამუშავდა და გაანალიზდა NVivo-ს ელექტრონული პროგრამის საშუალებით, რომელიც მკვლევარს ეხმარება თვისობრივი და შერეული კვლევების ანალიზში. გარდა ამისა, კვლევის ანალიზისთვის გამოიყენებულ იქნა MS Office-ის საოფისე პროგრამები.

2.3.5. მკვლევართა გუნდი და კვლევის ორგანიზება

კვლევის გუნდი შედგებოდა სამი ადამიანისგან:

საველე სამუშაოების კოორდინატორი - რომელიც პასუხისმგებელი იყო საზოგადოების შეხვედრების დაგეგმვაზე, ჯგუფის შეგროვებაზე, შეხვედრების ადგილის ორგანიზებასა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობაზე, საველე სამუშაოების ჩატარების მიზნით გუნდის ტრანსპორტირებაზე;

მკვლევარი - რომელიც, ერთის მხრივ, პასუხისმგებელი იყო საველე მონაცემების შეგროვებაზე, მონაწილეთა ინდივიდუალურად გასაუბრებასა და ჯგუფური დისკუსიების ჩატარებაზე. ინტერვიუების პროცესის შესახებ შეტყობინებებსა და ფლიპ-ჩარტებზე მოძიებული ინფორმაციის განთავსებაზე; მეორე მხრივ, მონაცემთა ბაზის ანალიზსა და საბოლოო კვლევაზე;

საველე სამუშაოების კვლევის ასისტენტი - რომელიც პასუხისმგებელი იყო სხდომის ოქმების წარმოებაზე, ხმის ჩაწერისა და ინტერვიუს მონაწილეთა რეგისტრაციაზე.

3. დისკუსია

კითხვარი მიზნად ისახავდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევას. კითხვარი ასევე ითვალისწინებდა ყველაზე აუცილებელი საჭიროებების დადგენას, რომლებიც კონკრეტულად მნიშვნელოვანი იყო გარკვეული თემებისათვის.

ყველაზე მეტად განხილული თემები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1. ეკონომიკური განვითარება შემდეგი ქვე-თემების ჩათვლით: სოფლის მეურნეობა; საწარმოები; მომსახურება, ტურიზმი და რეკრეაცია; წარმოება და დამუშავება; ბაზარზე წვდომა; სპეციალისტის ბიზნესმომსახურება და მომწოდებლები; ტექნიკური მომსახურება და მარეგულირებელთან შესაბამისობა; ლოჯისტიკა და დისტრიბუცია.
2. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა შემდეგი ქვე-თემების ჩათვლით: სოფლის ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი; კომუნიკაციები (ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, მობილური კავშირი).
3. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი შემდეგი ქვე-თემების ჩათვლით: ჯანდაცვა; გარემოს დაცვა; შრომის ბაზარი და უმუშევრობა; მიწისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება; დემოგრაფია; ხანდაზმული ადამიანები, სურსათი, კეთილდღეობა და ნუტრიცია; განახლებადი ენერჯია და კლიმატის ადაპტაცია.
4. განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა შემდეგი ქვეთემების ჩათვლით: განათლება და კვალიფიკაცია ან უნარ-ჩვევები; კულტურული მემკვიდრეობა ან სოციალური და კულტურული გარემო; სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები; სამოქალაქო ჩართულობა, თანასწორობა და სოციალური ჩართულობა.
5. ძირითადი სერვისები და პროგრამები.
6. ადგილობრივი მთავრობა.

მომდევნო თავში განხილული იქნება ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად იყო განხილული რესპონდენტების მიერ თემებისა და ქვეთემების მიხედვით. დისკუსიამ აჩვენა, რომ გარკვეულწილად იკვეთებოდა რამდენიმე თემა და ქვე-თემა. ამ თვალსაზრისით, მოცემული ანალიზი შეეცდება, თავიდან აიცილოს დისკუსიის განმეორება თემებში და გარკვეულ საკითხებზე ყურადღების გასამახვილებლად მიუთითებს შესაბამის თავებს.

3.1. ეკონომიკური განვითარება

მუნიციპალიტეტში ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა სოფლის მეურნეობას უკავშირდება. სოფლის მეურნეობის წამყვანი საქმიანობაა, პირველ რიგში, კარტოფილის მოყვანა და მეცხოველეობა - (რძის პროდუქტების-50% და ხორცის წარმოების-50%) უფრო ნაკლებად, ცხვრის ხორცის წარმოება. კლიმატური პირობები მოცემულ ტერიტორიაზე არ იძლევა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანის შესაძლებლობას, მაგრამ აქ მოდის ისეთი ხილი, როგორცაა ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ასკილი, სხვადასხვა კენკროვანი კულტურები და კაკალი; ბოსტნეულიდან - ჭარხალი, ნიორი, ხახვი, კომბოსტო, ლობიო, თაღამი და სტაფილო. ფერმერებს ასევე მოჰყავთ ქერი, ხორბალი და შვრია. ჯერჯერობით პროდუქციის მოცულობა არ არის დიდი, მცირე კომერციული ინტერესების გამო.

მოსახლეობის უმრავლესობა თვითდასაქმებულ ფერმერებს წარმოადგენს, რომლებიც ფლობენ 1.5 ჰექტარზე ნაკლები მიწის ნაკვეთს. კარტოფილის მოყვანიდან მიღებული შემოსავალი არ არის საკმარისი დაბალი პროდუქტიულობისა და არაეფექტური მეურნეობის გამო. გარდა ამისა, კარტოფილის წარმოების ღირებულებას ზრდის თესლის სიძვირე, წყლის ხარჯები, ძვირადღირებული სასუქები და პესტიციდები. არსებობს ყვავებისა და მღრღნელების პრობლემა, რომლებიც ზიანს აყენებს მცენარეებს. გარდა ამისა,

ყოველთვის არსებობს სეტყვის რისკი, რომელმაც შეიძლება გაანადგუროს მთელი მოსავალი.

მეცხოველეობის თვალსაზრისით, არსებობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშების გაუმჯობესების საჭიროება ადგილობრივი მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობის გამო. რძის საშუალო წველადობას შეადგენს 10 ლიტრს, ხოლო საშუალო სულადობა - 2-დან 10-სული. ფერმერებს მეცხოველეობის პრობლემა აქვთ. მუნიციპალიტეტში არ არსებობს განსაკუთრებულად გამორჩეული მეწველი ან მეხორცული ჯიშები. ამასთან ერთად, მეცხოველეობა მაღალი ხარჯიანობით ხასიათდება. სოფლად გამოვლინდა ვეტერინარული მომსახურების საჭიროება, რადგან არ არსებობს ვეტერინარული მომსახურება, გარდა სახელმწიფო ვაქცინაციის პროგრამისა. აღსანიშნავია, რომ კერძო პროფილაქტიკური, თერაპიული და სხვა ვეტერინარულ მომსახურება მნიშვნელოვნად მოთხოვნადია. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტი განიცდის ვეტერინარი სპეციალისტების ნაკლებობას.

ფერმერებს უჭირთ ბაზარზე წვდომა და მოსავლის სასურველ ფასად გაყიდვა. აგრო პროდუქტების რეალიზაცია არ არის სტაბილური. არ არსებობს ორგანიზებული ბაზარი, სადაც ფერმერებს შეეძლებათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვა საბითუმო და საცალო ფასებში. ასევე, მათ ჭირდებათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საბითუმო სასაქონლო წერტილები/ჰაბები, სადაც შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებას საბითუმო მყიდველებზე. ეს ასევე აღმოფხვრის გადაზიდვის ხარჯებს ბაზარზე მუნიციპალიტეტსა ან რეგიონში. ფერმერები საყვედურობენ სასოფლო-სამეურნეო ფასების არასტაბილურობას, რის შედეგად დიდი რაოდენობით კარტოფილის მოსავალი რჩება გაუყიდავი, ფუჭდება და იყრება მდინარეებში ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე.

სოფლის მეურნეობაში დაბალი პროდუქტიულობა გამოწვეულია იმით, რომ ფერმერებს უჭირთ შეამცირონ წარმოების ხარჯები და გაზარდონ შემოსავალი. მათ არ ჰყავთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სტაბილური მყიდველები. ფერმერები აწარმოებენ რძის პროდუქტებს, ძირითადად, პირადი მოხმარებისთვის, პროდუქციის მცირე ნაწილს - გასაყიდად. ფერმერებს ასევე აქვთ ხარისხისა და მასშტაბის ნაკლოვანება. გარდა ამისა, ფასებით და საბაზრო გარეგნობის თვალსაზრისით, ადგილობრივი აგროპროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს იმპორტირებულ პროდუქციას. თესლის მომწოდებლებიც არ არიან საიმედო, ამიტომ, საჭიროა ადგილობრივი კარტოფილის თესლის წარმოების განვითარება, რაც გაზრდის საიმედოობასა და ფასების კონკურენტუნარიანობას.

მოვაჭრეები სარგებლობენ ფერმერების მდგომარეობით, ყიდულობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ხელსაყრელ ფასებში და საცალო ვაჭრობის ბაზარზე გაცილებით მაღალ ზღვრულ ფასად ჰყიდიან. საერთოდ, ფერმერები უჩივიან ფასების არასტაბილურობას. იგივე ვითარებაა რძის პროდუქციასთან დაკავშირებით. ფერმერების 70% ყიდის ან ცვლის სოფლის მეურნეობის პროდუქციას სხვადასხვა პროდუქტზე, რომლებსაც თვითონ არ აწარმოებენ (ძირითადად, საკვები, ხილი და ბოსტნეული და ტანსაცმელი). პროდუქციის გაცვლის მიზნით, მცირე მოვაჭრეები ადგილობრივ ფერმერებთან კარდაკარ დადიან. თემები ითხოვენ მეცხოველეობის ბაზარს, სადაც შეძლებენ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის გაყიდვას.

ადგილობრივი თემების მოსახლეობამ ხაზი გაუსვა შემდეგი აგრობიზნესების განვითარების მნიშვნელობას: პირველადი წარმოების თვალსაზრისით, კარტოფილის გარდა, არსებობს პირობები ენერგოეფექტური სასათბურე მეურნეობის განვითარებისათვის. ზოგიერთ თემს აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების იშვიათი პოტენციალი უნიკალური წყლის ხარისხისა და ველურ გარემოსთან სიახლოვის გამო. ასევეა მეფუტკრეობა ფერმერული მეურნეობისთვის, რაც მას ალპური თაფლის წარმოების საშუალებას აძლევს. მეორადი წარმოებისა და ღირებულების ჯაჭვის

განვითარების მხრივ, რძის ბაზაზე არსებობს ყველის საწარმოების განვითარების პოტენციალი; ასევე, ჭარხლის დამამუშავებელი - შაქრის საწარმოსათვის; კარტოფილის დამამუშავებელი - სახამებლისა და სპირტის საწარმოსათვის; საქონლის ხორცის ბაზაზე - სასაკლავო განვითარების პოტენციალი, რომელიც აშენდება მარეგულირებელი სტანდარტების შესაბამისად. გარდა ამისა, რესპონდენტებმა აღნიშნეს კარტოფილის დამამუშავებისა და შენახვის, დახარისხებისა და შეფუთვის ობიექტების ნაკლებობაც.

ადგილობრივმა მოსახლეობამ აღნიშნა სოფლის მეურნეობის საკითხებთან და მიმდინარე პროგრამებსა და აქტივობებთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობის შესახებ. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდა ფერმერები არ იცნობენ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას. ფერმერებს ეს სფერო დიდი პოტენციის მქონედ მიაჩნიათ და დაინტერესებული არიან ბიოლოგიური პესტიციდების და სასუქების გამოყენებით. თუმცა, მათ არ აქვთ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება. ისინი ითხოვენ გამოცდილების გაზიარებას, მათ შორის, დემო-ნაკვეთების შესახებ, რათა დაინახონ თვალსაჩინო შედეგები, რაც გაზრდის მათ რწმენას. ეს ეხება არა მარტო კარტოფილის მოყვანას, არამედ - სოფლის მეურნეობის სხვა კულტურებსაც. ფერმერებს სჭირდებათ კონსულტაციები სერტიფიცირების მისაღებად, ძირითადად, კარტოფილისთვის. მათ ჭირდებათ საუკეთესო პრაქტიკის ჩვენება აგროქიმიკატების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ფერმერები ითხოვენ ლაბორატორიულ მომსახურებას (მათ შორის, მობილურ ლაბორატორიებსა და კლინიკებს), სადაც შემოწმდება სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოება - რძე, ხორცი, ხილისა და ბოსტნეულის ხარისხი, ცხოველთა ჯანმრთელობა, ნიადაგის შემადგენლობა. გარდა ამისა, ფერმერებს სჭირდებათ სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ცენტრები, რომლებიც ადგილზე გამოცდიან ახალ ჯიშებს და შესთავაზებენ მათ ფერმერებს.


სოფლის მეურნეობაში ნაკლებად გამოიყენება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები. არსებული ტექნიკის უმრავლესობა მოძველებულია, არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და საჭიროებს მოდერნიზაციას. საჭიროა ორი დამატებითი აგროსერვის ცენტრის გახსნა, რადგან არსებულ ცენტრებს არ აქვთ საკმარისი რაოდენობის მექანიზაცია და ფერმერებს ვერ უწყვენ დროულ მომსახურებას. ყველაზე მეტად დგას მოსავლის ამღები კომბაინის საჭიროება.

ფერმერები უჩივიან სარწყავ სისტემას. მიწების უმრავლესობა არ ირწყვება, მიუხედავად საკმარისი წყლის რესურსების არსებობისა. უმეტეს ტერიტორიას წყალი თვითდინებით მიეწოდება. ხოლო ზოგიერთ ადგილს წყლის მისაწოდებლად წყლის საქაჩები ესაჭიროება. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით არ არის შესაბამისად გამართული სარწყავი სისტემის ინფრასტრუქტურა. საჭიროა წყალმომარაგების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, წყალსატევების, რეზერვუარების, ხელოვნური ტბებისა და წყლის არხების შექმნა, სარეაბილიტაციო და საინჟინრო სამუშაოებს ჩატარება. ადგილობრივი მოსახლეობა გამოთქვამს მზადყოფნას ამ პროცესებში საკუთარი უფასო შრომითი რესურსით თანამონაწილეობითი წვლილის შესატანად.

ადამიანებს აქვთ კოოპერატივების სუსტი გამოცდილება და თანამშრომლობისა და ერთობლივი საქმიანობის არასწორი აღქმა. ფერმერებს არ აქვთ ცოდნა კოოპერირების უპირატესობის შესახებ, ასევე, კარგად არ ესმით კოოპერატივის მნიშვნელობაც. ფერმერების ცუდი ინფორმირება და თანამშრომლობის არასათანადოდ გააზრება უმეტესწილად გამოწვეულია საბჭოთა გამოცდილებისა და რეალური კოოპერაციული პრაქტიკის ნაკლებობით. ასევე, დაბალია კოოპერატივების მუშაობის ცოდნა და უნარები. მიუხედავად იმისა, რომ კოოპერატივებისადმი დამოკიდებულება არასახარბიელოა, არსებობენ ფერმერები, რომლებსაც შეუძლიათ თანამშრომლობა ბაზარზე კონკურენციისა და წარმოების ხარჯების შესამცირებლად.

ფერმერებს ნაკლებად ესმით აგრობიზნესის მართვისა და თანამედროვე მეურნეობის შესახებ, რადგან მათი ცოდნა და უნარ-ჩვევები თვითსწავლებასა და პრაქტიკულ გამოცდილებას ეყრდნობა. საჭიროა სასოფლო-სამეურნეო, მეცხოველეობის, მექანიზაციის, საბუღალტრო, ვეტერინარიის, შემდღებლის, დურგლის, აგრო-ბიზნესის მენეჯმენტის, გაყიდვებისა და მარკეტინგის და სხვ. დარგებთან დაკავშირებული პროფესიულ-საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამები, რაც ადგილობრივად არ არის ხელმისაწვდომი.

2017 წლის აგვისტოს მონაცემებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წყაროზე დაყრდნობით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 523 კომპანია შემდეგ სფეროებში: საცალო ვაჭრობა; მშენებლობა; საბითუმო ვაჭრობა; სურსათის წარმოება; სხვა მომსახურება (მათ შორის ფინანსური); სოფლის მეურნეობა; კვების ობიექტები; ჯანდაცვა; წარმოება; სასტუმრო; განათლება; ენერჯეტიკა; კომუნიკაცია; აზარტული თამაშები, დასვენება, გართობა და ტრანსპორტი. ქვემოთ მოყვანილი სქემა გვიჩვენებს, რომ ყველაზე დიდი წილი - საცალო ვაჭრობის 65% (340 ბიზნეს სუბიექტი) ძირითადად წარმოდგენილია მცირე საწარმოებით. მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულია სოფლის მეურნეობის საწარმოების მხოლოდ 3% (15 ბიზნეს სუბიექტი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრი წარმოადგენს მხოლოდ რეგისტრირებულ კომპანიებს და არა თვითდასაქმებულ ფერმერებს. სხვა სექტორში დასაქმება მინიმალურია.



ადგილობრივმა მოსახლეობამ ვერ შეძლო მოეწოდებინა ინფორმაცია, თუ რომელი კონკრეტული საწარმოების განვითარების შესაძლებლობა არსებობს სოფლის მეურნეობის მეტი დივერსიფიკაციის მიზნით; ისინი ძირითადად, კონცენტრირებულები იყვნენ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და ყველაზე გადაუდებელი საჭიროებების გადაჭრაზე. ფოკუს ჯგუფებში დისკუსიამ აჩვენა, რომ ფერმერები ლოგიკურად მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ ფერმერთა კოოპერატივების შექმნა და ხელშეწყობა საჭიროა, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ აქვთ კოოპერირებისადმი ნდობა და სკეპტიკურად აფასებენ მის მექანიზმებს.

როგორც აღინიშნა, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მრეწველობა და მომსახურება განვითარებას საჭიროებს, რათა გაიზარდოს პროდუქტიულობა, ეფექტურობა და კონკურენტუნარიანობა. ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივი საწარმოები უნდა განვითარდეს ზემოაღნიშნული სოფლის მეურნეობისა და აგრო სერვისის საჭიროებების შესაბამისად. საჭიროა საკმარისი სასაწყობო სათავსოები, ლოგისტიკური, დამამუშავებელი და შესაფუთი დანადგარების მქონე ობიექტების განვითარება.

ალტერნატიულად, უნდა განვითარდეს ტურისტების მომსახურება სასტუმროების ჩათვლით; აგრეთვე, ადგილზე უნდა გაჩნდეს სილამაზის სალონები, სადალაქოები, ფეხსაცმელების შეკეთების, მანქანის სამრეცხაოები, ავტო-სერვისები, აფთიაქები და მსგავსი მომსახურების ობიექტები. ასევე, არსებობს სამშენებლო ქარხნისა და დეკორატიული ქვების დამამზადებელი საწარმოების განვითარების პოტენციალი, რადგან მუნიციპალიტეტს აქვს ბაზალტის ქვის საბადო.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ვულკანურ პლატოზე, ალპურ ზონაში (ზღვის დონიდან 1500-3300 მეტრის სიმაღლეზე), რომელიც მოიცავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, ესაზღვრება სომხეთსა და თურქეთს. პლატოს ზედაპირზე წარმოდგენილია ტალღოვანი დაბლობები მის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მდებარეობს სამსრის ქედი (უმაღლესი წერტილი მთა აბული - 3301 მ).

მუნიციპალიტეტში მიედინება შემდეგი მდინარეები: ფარავანი, ჩობარეთი, ბარალეთი. აქ მდებარეობს შემდეგი ტბები: აბული, ვაჩიანი, ლევანი, პასკია (ზრესკი), ტაბაწყური, ხოზაფინი (კარცახის), სულდა. მუნიციპალიტეტს აქვს კულტურული მემკვიდრეობა, მათ შორის ისეთი ისტორიული ობიექტები, როგორცაა ახალქალაქის ციხესიმაგრე, აბულის ციხესიმაგრე, კუმურდოს გუმბათოვანი ეკლესია, სამსრის ქვაბულები, ჩუნჩხას უძველესი დასახლება, ვანქის ტაძარი, ალასტანის ეკლესია, აზავრეთის ეკლესია, ბურნაშეთის ეკლესია, კოჭიოს ეკლესია და ა.შ. ჯავახეთის ეროვნული პარკი და კარწახის, სულდას, თეთრობისა და ქცია-ტაბაწყურის ეროვნული ნაკრძალები. უნდა აღინიშნოს და განისაზღვროს სხვადასხვა ადგილის ღირსშესანიშნაობები და გასართობი ადგილები, როგორც ტურისტების, ისე ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზიდად. მუნიციპალიტეტს აქვს ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალი: ფრინველებზე დაკვირვება, თევზაობა, ლაშქრობა, ექსტრემალური ველოსპორტი, ცხენოსნობა და სხვ. გარდა ამისა, არსებობს აგროტურიზმის განვითარების პოტენციალიც. ზოგ თემს შეუძლია, გადაიქცეს სათხილამურო კურორტად. ზოგიერთ თემში გამოითქვა სურვილი სათხილამურო ბაგირის დაყენების შესახებ.

არ არსებობს ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომელსაც სჭირდება განვითარება - მცირე საკემპინგო ადგილებით, საოჯახო სასტუმროებით, ან სასტუმროებით. ასევე არ არის საინფორმაციო მომსახურება, მიმართულების ნიშნები და მარშრუტების მაჩვენებლები. ინფრასტრუქტურის და ადგილობრივი სერვისების განვითარების გარდა, საჭიროა ტურისტულ კომპანიებს შორის მუნიციპალიტეტის მეტი პოპულარიზაცია. მნიშვნელოვანია ტურ-ოპერატორებისთვის ინფო ტურების ორგანიზება და ტურისტული მარშრუტების პაკეტში გარკვეული დანიშნულების ადგილების შეტანა. აუცილებელია სპეციალური სამარშრუტო რუკებისა და ბროშურების მომზადება, ვებგვერდის შექმნა, რომელიც შეიცავს მუნიციპალიტეტის შესახებ შესაბამის ინფორმაციას.

ტურიზმის ინიციატივა - ხერთვისი-ვარძია-ოლოდას რეაბილიტაციის გეგმა ხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტში. მსგავსი პროექტის განხორციელება შესაძლებელია ახალქალაქის მუნიციპალიტეტშიც. სოფელ გოგაშენში შესაძლებელია ტურისტული ლანდშაფტის მოწყობა, რომელიც გადაჰყურებს ვარძიის სამონასტრო კომპლექსს.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს გაცნობიერებული ადგილობრივი კულტურულ მემკვიდრეობის ტურისტული პოტენციალი.

3.2. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა

ინფრასტრუქტურული განვითარება ადგილობრივი თემების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია. უნდა აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურული საკითხები გადაკვეთს სხვა საკითხებსაც, როგორცაა ეკონომიკური განვითარება, განათლება, ჯანდაცვა და სხვა

სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. მისი მნიშვნელობა ადგილობრივი კონსულტაციების დროს თითქმის ყველა ასპექტში იყო მოხსენიებული.

თემის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა საზოგადოებრივი გზების ინფრასტრუქტურა. როგორც პირველი პრიორიტეტი, დასასრულებელია თემების ქალაქთან დამაკავშირებელი მთავარი გზები, ხოლო მეორე პრიორიტეტი იქნება მუნიციპალიტეტში მდებარე სოფლების მაკავშირებელი შიდა გზების დასრულება. . მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ნაწილში მიმდინარეობს გზის მშენებლობა, თუმცა ხალხი არ იცნობს ამ სტრატეგიულ გეგმას და არ იცის, როდის დასრულდება ის. კიდევ ერთი ხშირად აღნიშნული თემაა სოფლებში ბუნებრივი გაზის განაწილების საკითხი. აღსანიშნავია, რომ ქალაქგარეთ მოსახლეობის უმრავლესობას ჯერ კიდევ არ მიეწოდება ბუნებრივი გაზი.

უკვე აღინიშნა, რომ ტურიზმი უნდა გახდეს. ეკონომიკური დივერსიფიკაციისა და განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი, თუმცა, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, არსებობს ორი ძირითადი პრიორიტეტული საკითხი. პირველ რიგში, აუცილებელია ძირითადი ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება, როგორცაა გზები, ბუნებრივი გაზი, ელექტროენერჯია და განათება და წყალმომარაგება. მეორეც, აუცილებელია ადგილების კეთილმოწყობის განვითარება, როგორცაა პარკები, მოედნები, კულტურული მემკვიდრეობა, არქიტექტურა, მათ შორის ინფო-ცენტრები, აღნიშვნები, საგზაო რუკები, რეკრეაციული ზონების განვითარება და სხვ.

თემის მცხოვრებნი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, უკმაყოფილონი არიან სპორტული ინფრასტრუქტურით. სოფლებში სპორტული აქტივობა არასახარბიელო მდგომარეობაშია. ჯანსაღი ცხოვრების წესის ან სპორტული აქტივობის მხარდასაჭერად მაცხოვრებლები ითხოვენ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, როგორცაა, საფეხბურთო სტადიონები და სხვა სპორტული მოედნები ტრიბუნებითა და განათებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სპორტული დარბაზების, საჭიდაო, ფეხბურთის, კალათბურთის და სხვა დარბაზების განვითარებაც. ზოგიერთ თემს აქვს ძველი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობების საკმარისი სივრცე, რომელიც მოითხოვს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, თუმცა უმეტეს თემში უნდა აშენდეს ახალი. მუნიციპალიტეტში არ არსებობს შიდა და გარე საცურაო აუზები.

კიდევ ერთი პრობლემაა საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა და ხარისხი. ასევე ბავშვებისთვის გარე მოედნების მოწყობა, მათ შორის, რეკრეაციული ადგილებისა, როგორცაა ბაღები და სკვერები.

თემის წევრები ითხოვენ კულტურული ღონისძიებების ჩატარების ადგილებს. სასურველია, შეიქმნას საზოგადოების შეკრებისა და ღონისძიებების გამართვის ობიექტები, სადაც ადგილობრივ ახალგაზრდებს შეეძლებათ იმღერონ, იცეკვონ, დაუკრან მუსიკა, გამართონ წარმოდგენები და ა.შ. ამასთან ერთად, არსებობს ადგილობრივი ბიბლიოთეკის, ცოდნისა და სატრენინგო ცენტრის გახსნის საჭიროება.

ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილოა სკოლის ინფრასტრუქტურით. მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში არ არსებობს სკოლები (მაგალითად, სოფელ სულდაში) და მოსწავლეებს უხდებათ დიდი მანძილის გავლა სკოლაში მისასვლელად. ზოგიერთი სკოლა მდებარეობს სახელმწიფო შენობაში, რომელიც არ აკმაყოფილებს სწავლებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. საჭიროა სკოლების მშენებლობა და რეაბილიტაცია. ასევე დგას ელექტროენერჯის, გათბობის, წყალმომარაგებისა და ტელეკომუნიკაციების პრობლემა.

მუნიციპალიტეტში არსებობს კერძო, არა საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ხალხი იყენებს კერძო სატრანსპორტო საშუალებებს, ტაქსების და სამარშრუტო ტაქსების მომსახურებას.

არ არსებობს საინფორმაციო დაწესებულება, სადაც მგზავრები ან სტუმრები შეძლებენ ინფორმაციის მიღებას სატრანსპორტო განრიგის შესახებ. ადამიანებს ასევე აქვთ ინტერნეტთან წვდომის პრობლემა. არსებული ინტერნეტის ხარისხი ძალიან დაბალია და ძვირია. თემის მოსახლეობა სატელიტურ არხებს სომხურ და რუსულ ენებზე უყურებს. ისინი არ უყურებენ სახელმწიფო - ქართულენოვან არხებს ქართული ენის ცუდი ცოდნის გამო. თუმცა, აშკარაა, რომ სოფლებში გადაცემები ძალზე ცუდი ხარისხით მიეწოდება. ზოგიერთ სოფელში ელექტროენერჯის მიწოდება ფერხდება ძველი კაბელებისა და ტრანსფორმატორების გამო, რომლებიც საჭიროებს განახლებას. სოფლებს არ აქვს საკანალიზაციო სისტემა, და ნარჩენების შეგროვების ადგილები, რაც სანიტარულ და ეკოლოგიურ პრობლემებს ქმნის.

თემის წევრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ წყალმომარაგების გამო. არსებობს ორი ძირითადი პრობლემა: ერთი დაკავშირებულია სასმელ წყალთან, მეორე-სარწყავ სისტემასთან.

სასმელი წყალი არ მიეწოდება რამდენიმე სოფელს (მაგ. სულდას და დადეშს). ზაფხულში წყალმომარაგება მცირდება და არ მიეწოდება ოჯახებს ორი მიზეზის გამო: ერთი არის მიწოდების სიმწირე და, მეორე, ფერმერების მიერ სასმელი წყლის სარწყავი მიზნებისათვის გამოყენება. პირველი პრობლემა შეიძლება გადაიჭრას წყალმომარაგების გაზრდით, წყალსადენების და რეზერვუარების რეაბილიტაციის გზით. სამწუხაროდ, მეორე პრობლემა ნაკლებად მარტივი გადასჭრელია.

სასმელი წყლის რეზერვუარები არ არის გაფილტრული. მათ სჭირდებათ სათანადო ფილტრაციის სისტემა, მოსახლეობა დაბინძურებულ წყალს მოიხმარს. ამ წყლის ხარისხი ლაბორატორიებში უნდა შემოწმდეს. ბეჟანოსა და ალათუმანში წყალი მიეწოდება აზბესტის მილების საშუალებით, რომლებიც საჭიროებს ჩანაცვლებას. წყლის სათავე ნაგებობები უნდა გაფართოვდეს და მოხდეს მათი რეაბილიტაცია. ზოგიერთი სოფელი საჭიროებს ახალ წყლის მილსადენი მარშრუტების გაყვანას, რათა თავიდან იქნას აცილებული წყლის არამიზნობრივი გამოყენება. ჩუნჩხის თემი მოითხოვს სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციას. წყალი მიედინება 15 კმ-ის სიახლოვეს იმ ადგილიდან, სადაც ზოგიერთი მოსახლე სასმელ წყალს იყენებს მოსარწყავად. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მზად არის ფიზიკურად იმუშაოს წყლის რეაბილიტაციის პროექტებში, რადგან ზოგიერთ სოფელს (ოკამი და გოგაშენი) არ აკმაყოფილებს სასმელი წყლის ხარისხი, ისევე, როგორც კომპანიების მიერ განხორციელებული წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხს.

რაც შეეხება ირიგაციას, მიწის ნაკვეთების უმეტესი ნაწილი არ ირწყვება. თემებს სჭირდებათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სარწყავი სისტემები, ხოლო მეცხოველეობას - სასმელი წყალი. ამ თვალსაზრისით, სარწყავი სისტემა საჭიროებს რეაბილიტაციას, ან, უმეტეს შემთხვევაში, ახალი ირიგაციის არხებისა ან მილების გაყვანას. არის რამდენიმე ლოკაცია, სადაც საჭიროა ელექტრო ტუმბოების გამოყენება. ფერმერები მზად არიან საფასური გადაიხადონ სარწყავი სისტემის შესანარჩუნებლად. სარწყავი სისტემების უმრავლესობას შეუძლია უზრუნველყოს წყლის მიწოდება 3-ზე მეტი სოფლის ნაკვეთებში. სარწყავი სისტემის პრობლემის მოგვარება ასევე წყვეტს სარწყავი მიზნებით სასმელი წყლის გამოყენების საკითხს.

კიდევ ერთი არსებითი პრობლემაა ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა. თემების უმეტესობა მოითხოვს სამედიცინო კლინიკებსა და აფთიაქებს. კლინიკების უმრავლესობა 2-3-4 სოფლის მანძილზე მოქმედებს. ზოგიერთ ადგილას, სადაც სამედიცინო კლინიკები არსებობს, ადამიანები უჩივიან ცუდ პირობებს. მათ ესაჭიროებათ რეაბილიტაცია. ზოგან საერთოდ არ არსებობს სამედიცინო კლინიკა, ის უნდა აშენდეს ან განთავსდეს თემის სახელმწიფო შენობებში, თუმცა ეს შენობებიც თვითონ საჭიროებს რეკონსტრუქციას ან რეაბილიტაციას. გარდა ამისა, არსებობს ხანდაზმული ადამიანების მნიშვნელოვანი

რაოდენობა, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ზრუნვასა და ზედამხედველობას. ამ თვალსაზრისით, თემის მაცხოვრებლები ხანდაზმულთათვის პენსიონერთა სახლებს ითხოვენ, სადაც ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ექნებათ შეკრებების გართობის და გარკვეული ჯანმრთელობის და სამედიცინო ზედამხედველობის საშუალება.

3.3. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, წინა წელთან შედარებით ოჯახების რაოდენობა შემცირდა. საკარმიდამოების დაახლოებით 20% მიტოვებულია. შეფასების მიხედვით, მოსახლეობა 40%-ით შემცირდა. მიგრაციის ყველაზე დიდი მიზეზია, საზღვარგარეთ დასაქმების შესაძლებლობების ძიება - ძირითადად რუსეთში. მიგრანტთა 80% ფიზიკურად მშრომისუნარიანია. მათი უმრავლესობა ახალგაზრდაა, რომლებსაც მხოლოდ საშუალო განათლება აქვთ. მათთვის არ არსებობს ადგილობრივი დასაქმების შესაძლებლობა, გარდა ფერმერული მეურნეობისა. უფროსი თაობის წარმომადგენლები უკმაყოფილო არიან იმით, რომ ახალგაზრდები არ არიან ჩართული სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში. ისინი, როგორც წესი, აზარტული თამაშებით არიან გატაცებული, დროს ტყუილად კარგავენ ინტერნეტში და უსაქმურობენ. არსებობს კომუნიკაციის პრობლემა ახალგაზრდებსა და ქალებში ქართული ენის არცოდნიდან გამომდინარე. სიტუაცია უკეთესია მამრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის, თუმცა მათ უმრავლესობას უფრო კომფორტულად მიაჩნია რუსულ ენაზე საუბარი. დაბალია წერა-კითხვის ცოდნის დონეც. განათლების საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება ძალიან მნიშვნელოვანია. ხალხის მოტივაცია დაბალია პროფესიული და უმაღლესი განათლების საჭიროების შესახებ დასაქმების მწირი შესაძლებლობების გამო. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მშობელი მოტივირებულია შვილებს მისცეს ქართული განათლება, რაც მათ შემდგომში გაუადვილებს დასაქმებას. დიდი პრობლემა ადრეული ქორწინებაც, რომელსაც სჭირდება ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო ინტერვენცია.

დისკუსიიდან გამომდინარე აშკარა ხდება, რომ უმუშევრობა მნიშვნელოვანი პრობლემაა. უმრავლესობა სოფლის მეურნეობაშია დასაქმებულია, ზოგი-საზღვარგარეთ მშენებლობაში, რამდენადაც ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა და უნარები მაღალია სწორედ სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში. თუმცა, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო სექტორებში მუშაობის მიუხედავად, მათ არ გააჩნიათ შესაბამისი პროფესიული ან უმაღლესი განათლება/კვალიფიკაცია. სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში ვლინდება კომპეტენციების სიმწირე, მაგრამ ეს ძირითადად განპირობებულია სამუშაო ბაზარზე და რეგიონისა და მუნიციპალიტეტის დაბალი ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლით.

ჯანდაცვის თვალსაზრისით ადრეც აღინიშნა, ადგილობრივი კლინიკების ინფრასტრუქტურის ძალიან ცუდი მდგომარეობის შესახებ. თემებში ძალიან საჭიროა სამედიცინო კლინიკები. უნდა მოხდეს არსებულის რეაბილიტაცია და ახალი კლინიკების აშენება. ინფრასტრუქტურული პრობლემების გარდა, სამედიცინო კლინიკები უნდა სათანადოდ აღიჭურვოს და ავეჯით მოიწყოს. რეგიონში შესამჩნევია ექიმებისა და ექთნების ნაკლებობა, რომლებიც შეძლებდნენ პაციენტის ადგილზე მკურნალობას. არსებულ სამედიცინო პერსონალს უნდა აუმაღლდეს კვალიფიკაცია და გადამზადდეს. არასათანადო მდგომარეობაშია ბავშვთა ჯანდაცვაც. ბავშვები მოკლებულნი არიან ადგილზე ექიმების ზედამხედველობას. არ არსებობს პირველადი დახმარება და ძირითადი საჭირო მედიკამენტები, რაც შეიძლება ადგილობრივმა ექიმმა სოფლად გამოიყენოს. სოფლად არ არის საკმარისი რაოდენობის აფთიაქები. იმ დასახლებებში, სადაც აფთიაქები არსებობს მოსახლეობა უჩივის ფარმაცევტების კვალიფიკაციას. ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილია სასწრაფო სამსახურის მუშაობით, თუმცა აღინიშნავს, რომ ხშირია დაგვიანების შემთხვევები. დიაგნოზისთვის ხალხი ახალქალაქის

მუნიციპალურ საავადმყოფოს მიმართავს, საიდანაც ისინი, საჭიროების შემთხვევაში, თბილისში გადაჰყავთ.

სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით, ადამიანებს არ გააჩნიათ ცოდნა და არ არსებობს საკვები პროდუქტების უსაფრთხოების პრაქტიკა. სასმელი წყალი საშიშია, რადგან წყალი არ იფილტრება. ონკანში ხშირად ცუდი ამინდის შედეგად დაბინძურებული წყალი ჩაედინება. მოსახლეობას აქვს კვების პრობლემები. მათი დიეტა არ არის დაბალანსებული ხორციით, ხილით და ბოსტნეულით; ძირითადად, საკვები რაციონი შედგება კარტოფილის, რძის პროდუქტების და პურისგან.

ყველა თემში არიან ხანდაზმული ადამიანები, რომელთა ოჯახის წევრები სეზონურად საზღვარგარეთ მუშაობენ. ადგილობრივთა შეფასებით, მოსახლეობის 25%-ს შეადგენს ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, რადგან მათი ოჯახის წევრები სეზონურად იმყოფებიან რუსეთში. ისინი საჭიროებენ გარკვეულ მზრუნველობას, რასაც, ძირითადად, ნათესავები ან მეზობლები უწევენ. ტრადიციულად, სირცხვილად ითვლება, მშობლების პენსიონერთა სახლებში მიყვანა, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება ეს შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გაუმჯობესდება ზრუნვა და ყურადღება, მათ შორის, იქნება სათანადო საკვები და სამედიცინო დახმარება. არსებობენ სხვა კატეგორიის ადამიანებიც, როგორცაა მარტოხელა დედები და ინვალიდები, რომლებსაც გარკვეული სოციალური დახმარება ესაჭიროებათ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სჭირდებათ სოციალური ინტეგრირება და მხარდაჭერა, მათ უნდა მიეცეთ დასაქმების სტიმული. ამ თვალსაზრისით, მათ სჭირდებათ სოციალური და საგანმანათლებლო მხარდაჭერა.

სოფლებში არ ფუნქციონირებს ნარჩენების შეგროვების მომსახურება. უფრო მეტიც, არ არის ორგანიზებული ადგილები, სადაც მოსახლეობას შეუძლია შეაგროვოს ნარჩენები. ახალქალაქში მგზავრობის დროს ხალხი ნაგავს გზაზე აგდებს. გარდა ამისა, ფერმერები პესტიციდებს და აგრო-ქიმიურ ნივთიერებების ნარჩენებს ყრიან ღია გარემოში. ამ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანია გარემოს დაცვის საკითხებზე. ზოგმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არსებობს უსახლკარო ცხოველთა პრობლემა და მუნიციპალიტეტში საჭიროა ცხოველთა თავშესაფრი, თუმცა ეს პრობლემა სხვა პრობლემებთან შედარებით შესაძლოა საზოგადოებისთვის უფრო ნაკლებად სოციალური პრიორიტეტის მქონე იყოს. ძნელია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური და სანიტარული პრობლემების უარყოფითი შედეგების გაზომვა, მაგრამ გამოვლენილი ხილული შედეგები გადაწყვეტია. არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ეს ფაქტორები იწვევდნენ ჯანმრთელობის პრობლემებს.

ადგილობროვმა მოსახლეობამ აღნიშნა, კლიმატის მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ. საჭიროა ქარისგან თავდაცვა ხელოვნური ტყეებით და ქარსაცავი ზოლებით. უნდა გაშენდეს ახალი ზოლები და ძველი-გაგრძელდეს. თემის წევრები ითხოვენ ტყეებიდან ფიჭვის ხეების გადარგვას ხელოვნური ტყეების გაშენების მიზნით. კონსულტაციამ აჩვენა, რომ თემში არ იციან ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების შესახებ. შესამაბისად, ვერ მოხერხდა მათთან ამ საკითხებზე მუშაობა და ინფორმაციის ამოღება. ადგილობრივმა მოსახლეობამ აღნიშნა, რომ მიკრო-ელექტრო სადგურების და ქარის ტურბინების განვითარების შემთხვევაში შესაძლებელია განახლებადი ენერჯის გამოყენება.

როგორც მიწის და ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესახებაა აღნიშნული, მიწა მწირია, ფერმერები ითხოვენ, სახელმწიფომ მიწები გააქირავოს ადგილობრივ ფერმერებზე, და არა მიგრანტ მწყემსებზე. ფერმერები უჩივიან სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაკლებობას და მოითხოვენ პრივატიზებას. თუმცა, მიწის კონსტრუქციის შეცვლა არ არის ნებადართული სამართლებრივი რეგლამენტით. მათი თქმით, "სახელმწიფო მიწების 80% საძოვრებია, მაგრამ მიწის სტრუქტურა არ შეიძლება შეიცვალოს". ბუნებრივი

რესურსების თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტს აქვს წყაროს წყლები, დეკორატიული ქვები და ხრეში.

3.4. განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა

ადგილობრივმა მოსახლეობამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, თემებს ჰქონდეს ადგილი კულტურული ღონისძიებებისა და წარმოდგენებისთვის, როგორცაა დარბაზები, სიმღერისა და მუსიკისათვის, თეატრის, გამოფენების, ფილმებისთვისა და სხვ. ეს უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდებისათვის, რითაც შესაძლებელი გახდება მათი გააქტიურება.

ახალქალაქში კულტურის სახლი რეაბილიტირებულია და მალე ადგილობრივ ხელოვნების მოღვაწეებს სხვადასხვა ღონისძიებებსა და სპექტაკლებში შეეძლება მონაწილეობა. მნიშვნელოვანია მუზეუმების მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება. თითქმის ყველა თემს აქვს დარბაზები ისეთი ღონისძიებებისათვის, როგორცაა ქორწილი, მაგრამ ისინი არ არის კარგ მდგომარეობაში, არ არსებობს ადგილი, სადაც ხანდაზმული ადამიანები ჭადრაკს, ნარდს, დომინოს, ბანქოს ითამაშებენ და ერთმანეთთან ექნებოდათ ურთიერთობა. იგივე პრობლემა დგას ახალგაზრდებთან მიმართებაშიც. აქედან გამომდინარე, ერთ შენობაში შეიძლება მოხდეს სოციალური ინტერაქცია ინტელექტუალური სპორტული თამაშოებით. უნდა დავამატოთ, რომ თემებში არ არის ისეთი ადგილები, როგორცაა სათემო ბარი და რესტორანი.

როგორც ინფრასტრუქტურულ პრობლემებში აღინიშნა, თემებს სჭირდება არა მარტო სპორტული მოედნები და დახურული დარბაზები, არამედ, სრული სპორტული აღჭურვილობა. ამჟამად არც ერთი მათგანი არაა სათანადოდ აღჭურვილი. არსებული სპორტული დარბაზები არ არის შესაფერისი სასწავლო მიზნებისთვის, რადგან მათში არ არის სისუფთავე, არ არის საშხაპე. მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა და ხელშეწყობა. კულტურული და სპორტული ღონისძიებების განვითარება ხელს შეუწყობს ნიჭიერი ადამიანების მომზადებას ადგილობრივ და საერთაშორისო ჩემპიონატებში შემდგომი პროგრესისა და მიღწევებისათვის. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების ფინანსური დახმარება მათი მომზადებისა და ჩემპიონატებისთვის.

განათლების საკითხებთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა სახის პრობლემა და საჭიროება, რომლებიც შეიძლება განიხილებოდეს სხვადასხვა დონეზე, როგორცაა საბავშვო ბაღის განათლება, საშუალო განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება და ტრენინგი (მათ შორის, ცნობიერების ამაღლება). ზემოთაღნიშნულ თავში აღწერილი ინფრასტრუქტურული საკითხების გარდა, არსებობს შემდეგი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია მომდევნო პუნქტებში.

ბავშვთა ბაღი: საბავშვო ბაღის მენეჯმენტის სისტემა ცუდია და უნდა გაუმჯობესდეს. ასევე მნიშვნელოვანია კვების და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

საშუალო განათლება: ადგილობრივი მოსახლეობის შეფასებით, მოსწავლეთა რიცხვი დაახლოებით 40%-ით შემცირდა. სკოლას მოსწავლეების თითქმის 80% ამთავრებს საშუალო განათლებას. სკოლის პედაგოგებს პედაგოგიური სწავლება უნდა ჩაუტარდეთ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. კურსდამთავრებულთა ენების ცოდნა, განსაკუთრებით ქართულისა და ინგლისურის, მეტად დაბალია. საჭიროა სწავლის ხარისხისა და მეცადინეობის რაოდენობის გაზრდა ქართულსა და ინგლისურ ენებში. გარდა ამისა, არსებობს სომხურ სკოლაში ქართული ენის სწავლების ხარისხის პრობლემა.

ცუდად მიეწოდება სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამები, ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა და ა.შ., რაც გამოწვეულია პედაგოგთა უნარ-ჩვევების ან კვალიფიკაციის სისუსტით. სკოლებში საჭიროა ბიბლიოთეკები და შესაბამისი სასწავლო აღჭურვილობა. რესურს ცენტრები უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეების სხვადასხვა სოფლების სკოლებში ტრანსპორტირებას და მათ უკან დაბრუნებას, მაგრამ საჭიროა მონიტორინგი და

კონტროლი ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტების თვალსაზრისით. ეთნიკური უმცირესობებისთვის სომხურ ენაზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამები არ შეესაბამება ქართულენოვან ეროვნულ პროგრამას. აუცილებელია სომხურენოვანი სკოლის წიგნების ახალი რედაქციის გადამუშავება და გამოცემა, რომელიც თანხვედრაში იქნება ეროვნულ სწავლებასა და საგამოცდო პროგრამასთან.

პროფესიული განათლება: პროფესიული განათლება დაბალ დონეზეა. პროფესიის მქონე ადამიანებს არ აქვს პროფესიული, კვალიფიკაცია. ისინი თვითნასწავლები არიან. ამჟამად, პროფესიული განათლება სულ უფრო მოთხოვნადი ხდება ახალგაზრდებს შორის. ოჯახები აღიარებენ პროფესიული განათლების მნიშვნელობას და უპირატესობას, მაგრამ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ისინი არ არსებობს. უახლოესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ახალციხეშია, რომელიც საკმაოდ პოპულარულია და კარგად არის ცნობილი რესპონდენტთა შორის, თუმცა, ადგილობრივი მოქალაქეებისთვის საკმაოდ შორსაა. დგას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობის საჭიროება ისეთ სასოფლო-სამეურნეო სფეროში, როგორცაა აგრონომია, სადურგლო საქმე, ვეტერინარია, ცხოველების მოშენება, ელექტროენერგია, მექანიზაცია, შედუღება, სანტექნიკა, ბუღალტერია, კერვა, აგრობიზნესის მენეჯმენტი და სხვა. არსებობს გამოწვევა, ისინი მომზადდეს მოკლე და საშუალო ვადაში ისე, რომ დამსაქმელის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. გარდა ამისა, რეგიონში ხორციელდება რკინიგზის განვითარების პროექტი და ეს მოითხოვს ადგილობრივ კვალიფიციურ სპეციალისტებს.

უმაღლესი განათლება: ადგილობრივი მოსახლეობის შეფასებით, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა 40% უმაღლეს განათლებას ითხოვს. სტუდენტები სწავლობენ ახალქალაქში, ერევანსა და თბილისის უნივერსიტეტებში. ახლა ტენდენცია იცვლება ქართულენოვანი უნივერსიტეტების სასარგებლოდ.

ტრენინგები და ცნობიერების ამაღლება: საჭიროა ცეკვის, სიმღერის და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის პედაგოგები. არ არსებობს ტრენინგები, რომელთაც შეუძლიათ სპორტსმენების მომზადება. თემებში უნდა მოეწყოს საგანმანათლებლო/სასწავლო ცენტრები, მათ შორის, ბიბლიოთეკები. ჩატარდეს ინფორმირებულობის ასამაღლებელი ტრენინგი ადრეული ქორწინებისა და ოჯახური კონფლიქტების შესახებ. ფერმერებს ცუდად ესმით აგრობიზნესი და მეურნეობა. არ არსებობს ინფორმირება ფერმერებს შორის კოოპერირების გააზრებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა მეტი პრაქტიკული მიდგომები და ტრენინგები, რომელიც მათ უჩვენებს კოოპერირების მექანიზმებისა და ინსტრუმენტების უპირატესობასა და აუცილებლობას. ფერმერებს ნაკლებად აქვთ გამოცდილება, უნარ-ჩვევები და ცოდნა კოოპერაციასა და მენეჯმენტში, ბუღალტერიაში, გაყიდვებში, ორგანიზებაში და სხვ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ასეთი აუდიტორიისათვის ტრენინგისა და კონსულტაციების ორგანიზება. გარდა ამისა, არსებობს ბევრი ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევა, რომელიც ფერმერებმა არ იციან. მათ ეს ცოდნა როგორღაც უნდა მიიღონ და განვითარდნენ. არსებობს ენის პრობლემა, ამიტომ საჭიროა ქართული ენის სწავლებაც. სოფლის მეურნეობაში ახალგაზრდა ფერმერები მუშაობენ, მაგრამ არც მათ აქვთ ცოდნა თანამედროვე მიდგომებზე; მათ სჭირდებათ გამოცდილების გაზიარება; დემონსტრაციული ნაკვეთები, რათა იხილონ ხელშესახები შედეგები. ზოგადად, უმცირესობათა ახალგაზრდობა მოითხოვს უფრო მეტ ფინანსურ მხარდაჭერას განათლებაში.

3.5. ძირითადი სერვისები და პროგრამები

კონსულტაციები გაიმართა ადგილობრივ მოსახლეობასთან იმ ძირითად მომსახურებასა და პროგრამებთან დაკავშირებით, რომლებიც, მათი აზრით, უნდა იყოს მოწოდებული. ადგილობრივებს სჭირდებათ გამართული ჯანდაცვის სისტემა. კერძოდ, სათემო დონეზე მათ სურთ სამედიცინო კლინიკები და აფთიაქები, ხოლო მუნიციპალურ დონეზე-საავადმყოფოები; მეორე მნიშვნელოვანი საკითხია სოფლებში არსებული ნარჩენების

შეგროვების სერვისი; ასევე, სახელმწიფო სამსახურებმა უნდა აკონტროლონ სასმელი წყლის უსაფრთხოება; უნდა განვითარდეს სარწყავი სისტემა; გაიზარდოს ინფორმაციის მიწოდება და გაზიარება მიმდინარე პროექტების, სერვისებისა და პროგრამების შესახებ და კონსულტაციები გაეწიოს მიკროსაფინანსო-საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით; სათემო დონეზე უნდა გაიხსნას საგანმანათლებლო და სატრენინგო ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ტრენინგის ორგანიზებას და მოსახლეობის კონსულტაციებს სხვადასხვა აუდიტორიისთვის; მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი უნდა იყოს მოქმედი და მოიცავდეს ინფორმაციას სოფლებისა და თემების შესახებ, აგრეთვე სხვა შესაბამის ინფორმაციას ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის; ქალაქებში უნდა ამოქმედდეს საინფორმაციო ცენტრები. მუნიციპალიტეტში უნდა იყოს ცხოველთა თავშესაფარი.

3.6. ადგილობრივი ხელისუფლება

აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ თემებთან და ბიზნესებთან ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისთვის თანამშრომლური მიდგომა არ არის საკმარისი. ძალზედ დაბალია სამოქალაქო ჩართულობა. სუსტია საზოგადოების წარმომადგენლების საკომუნიკაციო შესაძლებლობები კონკრეტულ საკითხებზე პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აქედან გამომდინარე, დაბალია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების (რწმუნებულების) ჩართულობა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, პრობლემების იდენტიფიცირების, გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების ფორმატში. გარდა ამისა, თემის წევრები აცხადებენ, რომ ისინი არ არიან კარგად ინფორმირებული ადგილობრივ საკითხებზე. ადგილობრივი ხელისუფლება სუსტია ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღებაში. ადგილობრივი ხელისუფლების კომუნიკაცია მოსახლეობასთან ადგილობრივი პრობლემების მიმართებაში არაეფექტურია, რაც იწვევს ადგილობრივ მაცხოვრებთა დემოტივაციას მიმართონ ადგილობრივ ხელისუფლებას. მათი აზრით, ამას მაინც არ ექნება შედეგი. ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს სუსტი კვალიფიკაცია მართვაში, ფასილიტაციასა და კომუნიკაციაში. საზოგადოებას არ გააჩნია საკმარისი გამოცდილება, რომ შეძლოს ადგილობრივი ინიციატივების წამოწევა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად გადაჭრა.

4. საბაზისო მონაცემების შედეგები

კვლევის შედეგების მიხედვით, შეიძლება დადგინდეს, საარსებო წყაროსთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა, რომლებიც თემებში არსებობს. ყველაზე რთული საკითხები ეხება ეკონომიკურ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობას. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში ძირითადი წამყვანი სფეროა სოფლის მეურნეობა, რომელიც წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო საკითხების ფართო სპექტრით. აშკარაა, რომ თემების ეკონომიკური განვითარება ნაწილობრივ ეფუძნება ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტას. თუმცა, ინფრასტრუქტურული საკითხების ოციალურ-ეკონომიკურ დისკუსიებშიც არის მოხსენიებული. სოციალური პირობები და ცხოვრების სტანდარტები იქცა დისკუსიის საკითხად, სადაც განიხილეს განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, სპორტის, დასაქმების, ახალგაზრდობისა და სხვა საკითხები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თემმა მოითხოვა სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო პროგრამები, სოციალური და კულტურული ღონისძიებები. განათლება გადაიკვეთა დისკუსიის სხვა საკითხებთან, როგორცაა ეკონომიკური ასპექტები ფერმერებისა და მეწარმეებისათვის თანამედროვე გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით. ბოლოს, ადგილობრივი მოსახლეობის შემფოთებას იწვევს გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თემებმა პრიორიტეტი მიანიჭეს შემდეგ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიზნებს: (1) ეკონომიკურ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობას; (2) ინფრასტრუქტურასა და კეთილდღეობას; (3) სოციალურ პირობებსა და ცხოვრების სტანდარტების, მათ შორის განათლებას, სპორტს, კულტურას, ჯანდაცვასა და სოციალურ ჩართულობას; (4) გარემოს დაცვასა და ძირითად სერვისებს.